სამეცნიერო სემინარის - “ეკლესია და ეკონომიკა” - მონაწილეთა განცხადება

სახარებაში მაცხოვარი ბრძანებს: იყავით სრულყოფილნი ვითარცა მამაი თქვენი ზეციერი სრულყოფილ არს.
სრულყოფილებისაკენ სწრაფვას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს, ამიტომაც არის, რომ ეკლესიის წიაღში ათეულ ათასობით ადამიანმა მიაღწია ქრისტიანული სრულყოფილების უმაღლეს საფეხურს, ანუ სიწმინდეს.
ქრისტიანული საზოგადოების ცნობიერებაში არსებულმა რწმენამ ადამიანის ამოუწურავი შესაძლებლობის შესახებ, ხელი შეუწყო ცივილიზაციის სწრაფ განვითარებას და მის წიაღში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რომელმაც ბოლო საუკუნეებში არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. მაგრამ თუ ადამიანი მოწყდება შემოქმედს, თავის ღვთაებრივ ფესვებს და იმედს მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაამყარებს, ამას კაცობრიობისათვის საბედისწერო შედეგები მოჰყვება.
სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების სულიერი განვითარება ჩამორჩება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრეს, რის გამოც მრავალი მეცნიერული მიღწევა თუ აღმოჩენა ხშირად კაცობრიობის სასიკეთოდ არ გამოიყენება. სახეზეა გლობალური, სოციალური, ეკოლოგიური, ფინანსური და სულიერი კრიზისი.
საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია სულიერი ფასეულობების გათვალისწინება, ერთიანი ზნეობრივი ღირებულებების ღერძის შექმნა და ამ ფასეულობების დაცვა.
ათეიზმის ძალადობის პერიოდში ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან იდევნებოდა ყოველივე სულიერი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გვაძლევს საშუალებას დავუბრუნოთ ჩვენს ხალხს სულიერი სრულყოფისკენ სწრაფვის ტრადიცია, აღვადგინოთ ეროვნული თვითმყოფადობა და ის ღირებულებები, რომელთაც გადაარჩინეს და დღემდე მოიყვანეს საქართველო. ამ პროცესში ერთობლივად უნდა მონაწილეობდნენ ქვეყნის ხელისუფლება, ღვთისმსახურნი, მეცნიერები, სპეციალისტები - მთელი საზოგადოება.
უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საღვთისმეტყველო და მეცნიერული მოღვაწეობა წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური დოქტრინის და

ქართული სახელმწიფოს განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველს. სემინარის მუშაობამ ცხადჰყო, რომ აუცილებელია მისი უწმინდესობის მიერ განხილული აქტუალუტი სოციალური და ეროვნული თემატიკის შემდგომი მეცნიერული კვლევა და დამუშავება, მისი გავრცელება საზოგადოების ფართო ფენებში.
სემინარი „ეკლესია და ეკონომიკა“ არის ღვთისმსახურთა და მეცნიერთა მცდელობა შესთავაზოს საზოგადოებას აღნიშნულ პრობლემებზე მსჯელობის გააქტიურება.
სემინარის მონაწილეები მხარს ვუჭერთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ინიციატივას, დაფუძნდეს მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი: “ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში”, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ღვთისმსახურთა, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა თანამშრომლობას.

თბილისი 03.08.2011